მენეჯმენტის გეგმის შესრულების პრაქტიკა საქართველოს დაცულ ტერიტორიებში (ბორჯომ-ხარაგაულისა და თუშეთის დაცული ტერიტორიების მაგალითზე)

ქეთევან კუპატაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ბუნებათსარგებლობის (MBA) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: იოაჰიმ პუე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

გამართული მენეჯმენტის გეგმის გარეშე ეფექტური მართვის განხორციელება თითქმის შეუძლებელია. მენეჯმენტის სისტემაში ადაპტაციური მიდგომების დანერგვისა და ხელშეწყობის მიზნით, მსოფლიოში წარმატებულად ფუნქციონირებს დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასების მეთოდები. საქართველოს მაგალითზეც გვაქვს ამგვარი შეფასების (RAPPAM, METT) განხორციელების შემთხვევები, თუმცა გამოყენებული მეთოდები საშუალებას არ აძლევს დაცული ტერიტორიების მენეჯერებს, რომ სიღრმისეულად იქნას გაანალიზებული მართვის თანმდევი ნაკლოვანებები. წინამდებარე ნაშრომი გვთავაზობს არსებული შეფასებებისაგან განსხვავებულ, მენეჯმენტის პროცესზე დაფუძნებულ მიდგომებს, რომელიც ემსახურება მანამდე დაფარული ხარვეზების გამოვლენას. კვლევის ფარგლებში განვიხილეთ კონკრეტული დაცული ტერიტორიების (ბორჯომ-ხარაგაულისა და თუშეთის) მენეჯმენტის გეგმის შესრულების არსებული პრაქტიკა, წლიურ სამოქმედო გეგმებსა და ანგარიშებზე დაყრდნობით. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, რეკომენდაციის სახით შემოთავაზებულია მარტივი, ამავდროულად პრაქტიკული სისტემა, რომელიც დაცული ტერიტორიების მართვაზე პასუხისმგებელ პირებს უზრუნველყოფს მენეჯმენტის ეფექტურობის მრავალმხრივი და სარწმუნო შეფასების განხორციელებით.

საძიებო სიტყვები: დაცული ტერიტორიები, მენეჯმენტის გეგმა, სამოქმედო გეგმა, მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასება